კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირება** (**Business Administration**)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი** **Master of Business Administration (MBA)**
ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/კოორდინატორი	ნანა შონია - ფინანსების მიმართულების პროფესორი
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი, 4 სემესტრი. კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: • 96 კრედიტი –სავალდებულო სასწავლო კურსები; • 24 კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსები და/ან თავისუფალი კრედიტები
სწავლების ენა	ქართული;
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N75 19.04.2012; აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 აპრილის №82(17/18) დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა :

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება ;
- შიდასაუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება .

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა შედგება:

- გამოცდა სპეციალობაში
- უცხო ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირება

სპეციალობაში გამოცდა ითვალისიწნებს აპლიკანტისთვის ბიზნესის ადმინისტრირების შესახებ ფართო ცოდნის ფლობის დონის შემოწმებას. გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ბილეთი მოიცავს 4 საკითხს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებიდან.

აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე. აპლიკანტის ენის ფლობის დონე შემოწმდება ტესტირების საშუალებით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს უცხო ენის ცოდნას B2 დონეზე .

გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ [http://eqe.ge/res/docs/10%E1%83%9C_16.03.2018.pdf] და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ დადგენილება (№12 (17/18)).

პროგრამის მიზნები
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს: ✓ **მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა** ცვალებად გარემოში მიმდინარე ბიზნეს პროცესების აღქმის, ანალიზის, სიტუაციათა შეფასების, მართებული მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებისა და გუნდში ეფექტური მუშაობით მისი განხორციელების გზების შესახებ კომპანიის საქმიანობის ეფექტური ადმინისტრირებისთვის; ✓ **გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები** ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და გადაწყვეტის თანამედროვე გზების ძიების, უახლესი მეთოდების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ინდივიდუალური კვლევების ჩასატარებლად.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა
„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს უქმნის მყარ საფუძველს სწავლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.
სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ: 1.1. განსაზღვრონ ცვალებად გარემოში მიდინარე ბიზნეს პროცესები და გადაწყვეტილებათა ალტერნატივების შემუშავების მეთოდები; 1.2. შეარჩიონ როგორც ბიზნესის ადმინისტრირების პროცესისთვის თანმხლები საფრთხეების იდენტიფიცირებისა და შეფასების მეთოდები, ისე მენეჯერული, მარკეტინგული და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანი მოლაპარაკებების წარმოებისა და კონფლიქტური სიტუაციების მართვის მეთოდები.
უნარები	2.1. შეაფასონ, გადაჭრან და შესაბამისი დასკვნები ჩამოაყალიბონ ბიზნეს სუბიექტის მმართველობით საქმიანობაში არსებული პრობლემების შესახებ უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; 2.2. ადაპტირება ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი და კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებლად ადმინისტრირებას ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით; 2.3. დაწერონ და წარდგენონ კვლევის შედეგების თემატური და სრული ანგარიში როგორც აკადემიური, ისე ბიზნეს სექტორში ჩართული სუბიექტებისთვის.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	3.1. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ აიღონ პასუხისმგებლობა თანამედროვე ბიზნეს გარემოში ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული პროცესების დამოუკიდებლად წარმართვაზე პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

სწავლების მეთოდები
სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დისკუსია-დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევების შესწავლა(Case study), გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზის და სინთეზის მეთოდები, წერითი მუშაობის მეთოდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული და ელექტრონული სწავლების დასწრებული მეთოდი.
პროგრამის სტრუქტურა
კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: • 96 კრედიტი – სავალდებულო სასწავლო კურსები; • 24 კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კრედიტები **სასწავლო გეგმა იხ დანართი 1.**
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში*(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)* - არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი შეფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი შეფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული იქნება შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
შენიშვნა:

1. შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით;
2. სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსით;
3. პროგრამის თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნულად განისაზღვრა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60 %-ის მიერ სხვადასხვა აქტივობებით გათვალისიწნებული მაქსიმალური ქულის 75%-ის მიღწევა. სამიზნე

ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად;

4. რეფერატების და პროექტების შეფასებისას დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მაქსიმალური მისაღები ქულის მინიმუმ 60%, ხოლო პროფესიული პრაქტიკის შემთხვევაში - 70%;
5. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა და დადარდება პროცენტულ მაჩვენებლებს;
6. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა მოხდება პროგრამაზე თანდართული კურიკულუმის რუკის მიხედვით იმ სემესტრის ბოლოს, სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი;
7. პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი მოხდება 2 წლიან დინამიკაზე დაკვირვებით. დინამიკაში დაკვირვების შემდეგ თუ გამოვლინდა რეგრესი (სამიზნე ნიშნულებთან დაკვირვებისას) მოხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ ეკონომიკის დარგების ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ფონდებსა და გაერთიანებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, კერძოდ:

- სამეწარმეო და არასამეწარმეო ორგანიზაციები, სააღრიცხვო, საგადასახადო, საკონტროლო-სარევიზიო, აუდიტორული საქმიანობის სფეროები;
- საბანკო და არასაბანკო დაწესებულებები;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
- ადგილობრივ და მუნიციპალურ საჯარო სამსახურებში ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერის პოზიციაზე;
- კერძო ბიზნეს -სექტორი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სამსახური;
- თვითდასაქმება;
- და სხვა

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები: პროგრამას ემსახურება ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და მოწვეული პრაქტიკოსები, კერძოდ:

- პროფესორი - 5;
- ასოცირებული პროფესორი - 14;
- ასისტენტ პროფესორი - 2;
- დოქტორანტი - 2;
- პრაქტიკოსი - 7

	სახელი და გვარი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**თანამდებობა და სამუშაო გამოცდილება**
		აკადემიური პერსონალი	
1.	გიორგი ღავთაძე	საინვესტიციო მენეჯმენტი;	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის მიმართულების პროფესორი, 24 წლიანი სამუშაო გამოცდილება, აწსუ რექტორის მოადგილე
2.	ნანა შონია	სამაგისტრო ნაშრომი; პროფესიული პრაქტიკა; ფასიანი ქაღალდების ბაზარი;	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის მიმართულების პროფესორი, 25 წლიანი სამუშაო გამოცდილება; ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
3.	ემზარ ჯულაყიძე	სტრატეგიული მენეჯმენტი; საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი
4.	დალი სოლოღაშვილი	ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი; ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება ფინანსურ ინსტიტუტებში	აღრიცხვა და აუდიტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
5.	მანანა ჭუმბურიძე	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	აწსუ კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი
6.	თენგიზ კუპრაშვილი	კვლევის მეთოდები ბიზნესში; მარკეტინგული კომუნიკაციების მართვა	მარკეტინგის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, 22 წლიანი სამუშაო გამოცდილება.
7.	თინათინ გუგეშაშვილი	ფინანსური მენეჯმენტი; საერთაშორისო ფინანსები	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
8.	გოდერძი შანიძე	რისკ-მენეჯმენტი; მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის კოორდინატორი
9.	დეზდემონა მაღლეკელიძე	მმართველობითი აღრიცხვა და გადაწვეტილებების მიღება; ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	აღრიცხვა და აუდიტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, 39 წლიანი ბუღალტრად და 15 წლიანი აუდიტორად მუშაობის გამოცდილების მქონე.
10.	ნანა ლუხუტაშვილი	კონფლიქტების და მოლაპარაკებების მართვა	მენეჯმენტის მიმართულების ასისტენტ პროფესორი
11.	სერგო სვანაძე	საგადასახადო-საბაჟო ურთიერთობები და ტექნოლოგიები	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის ასოცირებული პროფესორი; სახემწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე (ქუთაისი, 2009-2010 წწ); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, დასავლეთის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი(2008-2009 წწ); საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია, დასავლეთ საქართველოს განყოფილების ყოფილი უფროსი(2000-2007 წწ)
12.	აკაკი ბაკურაძე	ბიზნეს-პროგნოზირება	სტატისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
13.	ხათუნა შალამბერიძე	საბანკო მენეჯმენტი	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
14.	ნანა ბენიძე	საქართველოს თანამედროვე სადაზღვევო ბაზარი	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
15.	მედეა ლომინაშვილი	ფინანსური ანალიზი	აღრიცხვა და აუდიტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
16.	ინეზა წერეთელი	მმართველობითი	მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული

		გადაწყვეტილებები	პროფესორი
17.	ნარგიზა ქარქაშაძე	მარკეტინგ- მენეჯმენტი	მარკეტინგის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
18.	ნუნუ ქიქოძე	ლიდერობა და ცვლილებების მართვა; საზოგადოებასთან ურთიერთობების (PR) მენეჯმენტი	მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
19.	ნათია ზვიადაძე	დარგობრივი ინგლისური ენა	ინგლისური ენა და ლიტერატურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
20.	მაია ახვლედიანი	გლობალური მარკეტინგი	მარკეტინგის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
21.	თეა ვალშვილი	ციფრული მარკეტინგი	მარკეტინგის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, აწსუ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი
22.	სოფიკო მიქაბაძე	HRპოლიტიკა	აწსუ მენეჯმენტის მიმართულების ასისტენტ პროფესორი
მოწვეული სპეციალისტები			
23.	თეიმურაზ გვეტაძე	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება (ლაბორატორიული)	ს/ს მისო „კრისტალის“ შიდა აუდიტორი; შპს „ფრეშ-ჯორჯია“(თავისუფალი ინდუსტრიული ზონა) ყოფილი ფინანსური მენეჯერი.
24.	ირინე კოპალიანი	საბანკო მენეჯმენტი (პრაქტიკული მეცადინეობა)	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას” ქუთაისის ფილიალის მმათველი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
25.	როლანდ ბრეგვაძე	საქართველოს თანამედროვე სადაზღვევო ბაზარი(პრაქტიკული მეცადინეობა)	სს სადაზღვევო კომპანია “ალდაგის“ იმერეთის ფილიალის კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
26.	მანუჩარ მატარაძე	ფასიანი ქაღალდების ბაზარი (პრაქტიკული მეცადინეობა)	საბროკერო კომპანია „VipTrade“ რეგიონული მენეჯერი
27.	თეა უდესიანი	ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი	მოწვეული პრაქტიკოსი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორი 2009 წლიდან დღემდე
28.	ლია გენელიძე	ბრენდინგი	აწსუ მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის სპეციალისტი, სარეკლამო კომპანია „Blask & White“ გაყიდვების მენეჯერი.
29.	თათია უდესიანი	შიდა აუდიტი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შიდა აუდიტის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2017 წლის ივლისიდან - დღემდე; აწსუ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

- ✓ აწსუ-ს I და II სასწავლო კორპუსები (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59);
- ✓ XXII კორპუსის ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ოთახები.
- ✓ ვასილ ჩანტლაძის სახელობის აუდიტორია - 2205 აუდიტორია
- ✓ მაგისტრანტების სამუშაო ოთახი - 1118 აუდიტორია
- ✓ სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ქუთაისის ფილიალის ოფისი (მისამართი: პუშკინის ქ. №8, ქუთაისი)
- ✓ საბროკერო კომპანია „VipTrade“ ქუთაისის ფილიალი (მისამართი: წერეთლის ქ. №21, ქუთაისი);
- ✓ თავისუფალი კრედიტების არჩევის შემთხვევაში - ვადიმ ჰეტმანის სახელობის კიევის ეროვნულ ეკონომიკურ უნივერსიტეტი (მისამართი: უკრაინა, ქალაქი კიევი, პერემოგის გამზირი 54/1);
- ✓ აწსუ ბიბლიოთეკა, I, II, III და XXII კორპუსების სამკითხველო დარბაზები;
- ✓

სასწავლო გეგმა 2020-2021
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

№	კურსის დასახელება	წინაპირობის მატრიცა	კრ[1]	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პრ/ლაბ/გ	სემესტრი			
				სულ	საკ	დამ		I	II	III	IV
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
I. სავალდებულო სასწავლო კურსები											
I.1	ლიდერობა და ცვლილებების მართვა		4	100	48	52	1/2/0/3	x			
I.2	ფინანსური მენეჯმენტი		6	150	63	87	2/2/0/3	x			
I.3	რისკ-მენეჯმენტი		5	125	48	77	1/2/0/3	x			
I.4	კონფლიქტების და მოლაპარაკებების მართვა		4	100	48	52	1/2/0/3	x			
I.5	მმართველობითი აღრიცხვა და გადაწყვეტილებების მიღება		5	125	48	77	1/2/0/3	x			
I.6	კვლევის მეთოდები ბიზნესში		5	125	48	77	1/2/0/3	x			
I.7	ოპერაციათა მენეჯმენტი		4	100	48	52	1/20/3		x		
I.8	მარკეტინგის მენეჯმენტი		5	125	48	77	1/2/0/3		x		
I.9	საინვესტიციო მენეჯმენტი	**I.2**	5	125	48	77	1/2/0/3		x		
I.10	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება		5	125	48	77	1/2/0/3		x		
I.11	ბიზნეს-პროგნოზირება		4	100	48	52	1/2/0/3			x	
I.12	ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი		4	100	48	52	1/0/2/3			x	
I.13	სტრატეგიული მენეჯმენტი	**I.7**	5	125	48	77	1/2/0/3			x	
I.14	ფინანსური ანალიზი	**I.10**	5	125	48	77	1/1/1/3			x	
I.15	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	10	250	183	67	0/12/0/3				x

[1]დამხმარე აღნიშვნები: **კრ**-კრედიტი; **სთ**-საათი; **ლ**-ლექცია; **პრ**-პრაქტიკული მეცადინეობა; **ლაბ**-ლაბორატორიული მეცადინეობა, **გ**- გამოცდის საათები, **საკ**-საკონტაქტო მუშაობის დრო; **დამ**-დამოუკიდებელი მუშაობის დრო.

		სასწავლო კურსები									
I.16	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო სასწავლო კურსები, გარდა პროფესიული პრაქტიკის	20	500	18	482	0/15/0/3				x
სულ სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი:			96	2400	873	1527		**29**	**19**	**18**	**30**
II. არჩევითი სასწავლო კურსები											
II.1	დარგობრივი უცხო ენა		4	100	63	37	0/4/0/3		12		
II.2	სამეცნიერო წერა		4	100	48	52	1/2/0/3				
II.3	საბანკო მენეჯმენტი		4	100	48	52	1/2/0/3				
II.4	ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი		4	100	48	52	1/2/0/3				
II.5	საერთაშორისო ფინანსები		4	100	48	52	1/2/0/3				
II.6	მარკეტინგული კომუნიკაციების მართვა		4	100	48	52	2/1/0/3				
II.7	ბრენდინგი		4	100	48	52	1/2/0/3				
II.8	საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) მენეჯემენტი		4	100	48	52	1/2/0/3				
II.9	ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება ფინანსურ ინსტიტუტებში		4	100	48	52	1/2/0/3				
II.10	ციფრული მარკეტინგი		4	100	48	52	1/2/0/3			12	
II.11	თანამედროვე სადაზღვევო ბაზარი		4	100	48	52	1/2/0/3				
II.12	ფასიანი ქაღალდების ბაზარი		4	100	48	52	1/2/0/3				
II.13	შიდა აუდიტი	**II.4**	4	100	48	52	1/2/0/3				
II.14	საგადასახადო-საბაჟო ურთიერთობები და ტექნოლოგიები		4	100	48	52	1/2/0/3				
II.15	გლობალური მარკეტინგი		4	100	48	52	1/2/0/3				
II.16	HR პოლიტიკა		4	100	48	52	1/2/0/3				
II.17	მენეჯმენტი გლობალურ გარემოში		4	100	48	52	1/2/0/3				
	არჩევითი სასწავლო კურსების ჯამი:		24	600	288	312		**0**	**12**	**12**	**0**

ჯამი:		120	3000	1161	1839		29	31	30	30